პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 140 (18682) შაბათი, 18 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გუშინ კრემლში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ



სურათზე: სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა ადამიანის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის პალატების 16 ივნისის საღამოს გაერთიანებულ სხდომას თავმჯდომარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. პ. რუბინი.**

თანამედროვე ეპოქამ კაცობრობის წინაშე წამოჭრა ბევრი საკითხი, რომელთა გადადებაც არ შეიძლება, აღნიშნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დეპუტატმა **ნ. ნ. ბლოხინმა.** მაგრამ მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში ყველაზე საჭირბოროტო გახდა ომისა და მშვიდობის საკითხი. ბირთვულ საუკუნეში და განსაკუთრებით დღეს, როცა საშიშროება კვლავ იზრდება, იგი უნდა გავიაზროთ თავიდან, ამასთან მეტად აწონილ-დაწონილად, მთელი პასუხისმგებლობით და, რაც მთავარია, ახალ ისტორიულ რეალობათა პოზიციიდან. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ავანტურისტული კურსი, რომლ ი ს მიზნია აღვირახსნილი გამალებული შეიარაღება და ბირთვული ომის საშიშროების გადიდება, სხვა არა არის რა, თუ არა სოციალიზმისაკენ ისტორიულად კანონზომიერი წინსვლის შეჩერების წყურვილი ძალაუფლებით თავბრუდახვეული ადამიანებისა, რომლებსაც დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გამოცდილება არა აქვთ და მოკლებული არიან ყოველგვარ ზნეობრივ პრინციპებს.

სესიაზე განხილული პრობლემები, თქვა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **რ. ნაბიევმა,** აწუხებს ყველას, ვინც სამეცნიერო ძალისა კაცობრობის მომავალი. შემთხვევითი არ არის, რომ ყველა მწვავე სიტუაციაში, აფეთქებასაშიშ ვითარებაში ხალხები ელიან, თუ როგორ რეაგირებას მოახდენს ამაზე ჩვენი ქვეყანა. და საბჭოთა კავშირი მოდას უპასუხებს ამ მწვავე საკითხებს: იგი იბრძვის მშვიდობისათვის, იგი იმათ რიგებში, ვინც საკადრის პასუხს სცემს აგრესიულ პოლიტიკას. ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის სავსებით ცხადია, თუ ვინ უქმნის საფრთხეს მშვიდობას: ეს არის იმპერიალიზმი. უწონარეს ყოველისა ამერიკის იმპერიალიზმი.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის საქმეს ემსახურება სამშობლოს. ეკონომიკური ძალიერების გამრავლება, თავდაცვით-მასობრივი მუშაობისა და მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის განვითარება.

მომავალი კვირის დამდეგს, თქვა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა დეპუტატმა **ა. ჰ. სუბოტინმა,** პრაღაში დაიწყება მსოფლიო ასამბლეა „მშვიდობისა და სიცოცხლისათვის, ბირთვული ომის წინააღმდეგ“. ეს უდიდესი ომის საწინააღმდეგო ფორუმი ღიაა მთელი საზოგადოებრივი ძალებისათვის, რომლებიც იბრძვიან ხალხთა უშიშროებისათვის, კაცობრიობის ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის. თუ შევეგებით ჩვენს დღეებში პროფკავშირული მოძრაობის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ეს, უწინარეს ყოვლისა, ომისა და მშვიდობის პრობლემებისაკენ ძირეული შემობრუნებაა. მშრომელ ადამიანებს სულაც არ სურთ თავი გასწირონ, დაიღუპონ ბირთვულ ხანძარში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და იმათი ინტერესებისათვის, ვინც დღეს მის კმაყოფაზე იმყოფება.

საბჭოთა პროფკავშირების ხაზი ნათელია, განაცხადა ორატორმა, — ეს არის ბრძოლა მუშაური სოლიდარობის განმტკიცებისათვის, ეს არის თავდადებული შემოქმედებითი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი ძალებისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ეს არის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის, სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ყოველმხრივი მხარდაჭერა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა თავრობის საქმიანობამ,— თქვა სკკპ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ვ. პ. ლომაკინმა,** ნიადაგი გამოაცალა იმპერიალისტთა მილიტარისტულ ზრახვებს. რთულ საერთაშორისო ვითარებაში პარტია ავლენს ჭეშმარიტად ლენინურ პიმტკიცეს, თანამიმდევრულად ახორციელებს სკკპ XXVI ყრილობის კურსს.

საბჭოთა ხელმძღვანელობა თანამიმდევრულად ადგას სკკპ XXIV-XXVI ყრილობების კურსს, რომლებმაც განსაზღვრეს სსრ კავშირის მშვიდობის შენარჩუნებისა და უშიშროების განმტკიცების ხაზი, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დეპუტატმა **ბ. ნ. პონომარიოვმა.** ამ მიზნის მისაღწევად, ადამიანის უპირველესი უფლების — სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით ყველ ღონეს ხმარობენ ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ კურსის საწინააღმდეგოდ მტკიცედ და დაუცხრომლად იღვწის იმისათვის, რომ ბოლო მოუღოს უფუნურ გამალებულ შეიარაღებას, მოვლენების განვითარება მოაკციოს დაძაბულობის შეხელვის, სიზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის კალაპოტში.

ამ სესიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევა, თქვა ორატორმა, კიდევ უფრო ზრდის სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტს, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ავტორიტეტს და ახალ იმპულსს მისცემს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საქმისათვის ბრძოლას.

ჩვენი პარტიის საერთაშორისო კურსი გამოხატავს ყველა საბჭოთა ადამიანის ნებას. მისი განხორციელების საწინდარია ჩვენი ხალხის თავდადებული შრომა.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დავალებით ორატორმა წამოაყენა წინადადება მიიღონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

(დასასრული მე-3 გვ.)

ჩვენი მოქმედების ნათელი პროგრამა

საქართველოს მშრომელები დიდი ყურადღებით ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს

გზა ფართო და საასპარეზო

აი, უკვე ხელთ გვაქვს პლენუმის მასალები... ჩვენ კიდევ ერთხელ გულისყურით ვუკვირდებით პლენუმის თითოეულ დებულებასა და დასკვნას. უეჭველია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი პარტიის ისტორიაში, რამეთუ პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საკითხთა საკითხია, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობის „სასინჯი ქვაა“, იმის უცილობელი დასტურია, თუ რაოდენ მატულობს წინსვლის ტემპი, როცა იდეოლოგიური მუშაობა უფრო ეფექტიანი ხდება, როცა მასები უკეთ ერკვევიან პარტიის პოლიტიკაში.

ბორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მრავალათასიან კოლექტივში, მის საამქრო პარტორგანიზაციებში შრომითი აღმავლობის ვითარებაში განიხილავენ პლენუმის მასალებს. გაერთიანება ახლა აღმავლობის გზაზეა და პლენუმის დასკვნები და მითითებები ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მოქმედების სახელმძღვანელო გახდება ხანგრძლივი დროისათვის.

პლენუმმა ჩვენი იდეოლოგიური და სამეურნეო ცხოვრების ბევრი კარდინალური საკითხი წამოსწია წინ. მართლაც დროული და საჭიროა, როგორც ამხანაგმა ი. ანდროპოვმა აღნიშნა, ვიფიქროთ ჩვენი სკოლის, კერძოდ, პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემის სრულყოფაზე.

დასამალი როდია, რომ პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემაში ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. ჩვენთან, მაგალითად, ფუნქციონირებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, იგი სხვადასხვა სპეციალობის ფეიქრების კადრებით უნდა უზრუნველყოფდეს გაერთიანებას, სახელმწიფო კადრების მომზადებისათვის დიდ ფულად სახსრებს ხარჯავს, უკუგება კი აქედან მცირეა, სასწავლებელდამთავრებულთა ნახევარზე მეტი სათოფედ აღარ გვეკარება. ეტყობა, აქ, მართო სასწავლებელს ვერ დაანაშაულებ. ჩვენთვის, გაერთიანებაში, ჯერ კიდევ ცოტა კეთდება ახალგაზრდა კადრების შენარჩუნებისათვის, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოსაგვარებლად.

პლენუმმა მუშაობა დაამთავრა, მაგრამ პლენუმის გადაწყვეტილებები და დადგენილებები სწორედ ახლა იწყებენ თავიანთ ცხოვრებას შრომითი კოლექტივების, საბჭოთა ადამიანების პრაქტიკულ საქმიანობაში. თითოეული ჩვენგანის ვალია ამ გადაწყვეტილებას ფართო გზა და ასპარეზი მივცეთ კონკრეტული საქმით.

ზ. კაპკაპიშვილი,
ბორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი

ჩვენი სიტყვა ულალატოა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა ჩვენი კოლექტივის ყურადღების ცენტრშია.

მე განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე ამხ. ი. ვ. ანდროპოვის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. ეს ეკონომიკის საკვანძო ამოცანაა. ამ მაჩვენებლის შეუნელებელი ზრდა რომ ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მუშაობის მოწინავე გამოცდილების დაჩქარებულ დანერგვაზეა დამოკიდებული, რა თქმა უნდა სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ამ მიმართულებით გადამწყვეტი სიტყვა ჩვენ, მუშათა კლასმა უნდა ვთქვათ, ჩვენი სიტყვა კი უღალატო! ერთიანი განაწესით მუშაობა, მინდობილი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მაღალი შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინა — აი რა გვჭირდება დღეს ჩვენ.

მე „ტყიბულშახტმშენის“ სამმართველოს მებეტონე გახლავართ. თბილისში მშენებელ მუშათა დინასტიების ფორუმზე ჩამოვედი. ჩამოვედი შვილებით, რომლებიც ჩემ გვერდით შემართებით შრომობენ. ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ ჩვენს შეკრებას ლაიტმოტივად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები გაპყვება, გავუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას, ვიმსჯელებთ იმაზე, თუ როგორ შევუწყოთ ხელი მუშათა დინასტიების გამრავლებას, როგორ განვახორციელოთ პარტიის მიზანდასახულობანი. მე მინდა, რომ მშენებელთა ფორუმის დევიზი იყოს „გაუმარჯოს მუშურ სინდისს!“.

ბ. ბოჰორიშვილი,
„ტყიბულშახტმშენის“ სამმართველოს მებეტონე, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

სამშობლოს ჯილდოების გადაცემა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა 17 ივნისს კრემლში სამშობლოს მაღალი ჯილდოები გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ჰ. ა. ალიევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. ვ. რომანოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ვ. შჩერბიცკის, სკკპ ცენტრალური პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. თ. სიზოვს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. მ. ჩებრიკოვს.

ჯილდოების გადაცემისას გამოვიდა ამხანაგი **ი. ვ. ანდროპოვი,** მან თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

უაღრესად მოხარული ვარ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობათა შესრულებას ვიწყებ ასეთი პატივსაცემი და საპატიო ადამიანებისათვის სახელმწიფო ჯილდოების გადაცემით.

ამხანაგები ჰ. ა. ალიევი და გ. ვ. რომანოვი, რომლებსაც მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ამხანაგ ვ. ვ. შჩერბიცკი, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები არიან, ამხანაგები გ. თ. სიზოვი და ვ. მ. ჩებრიკოვი, რომლებიც ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ, კარგად არიან ცნობილი ჩვენს პარტიაში, მათ დიდ პატივს სცემს საბჭოთა ხალხი.

სულითა და გულით გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, და გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს დიდ და პასუხსაგებ მოღვაწეობაში.

როგორც სახელმწიფო მოღვაწეებს, თქვენ არ გაგიკვირდებათ, თუ, მოლოცვასთან და თქვენი დიდი დამსახურების მოხსენიებასთან ერთად, შევეხები გადასაწყვეტ ამოცანებსაც, რომლებზეც თითოეულმა თქვენგანმა უნდა იმუშაოს.

ხუთწლედის მესამე წლის პირველი ნახევარი თითქოს არცთუ ისე ურიგო შედეგებით აღინიშნა. და მიუხედავად ამისა, თითოეულ დღეს მოაქვს მონაცემები დიდი, გამოუყენებელი შესაძლებლობების, სერიოზული რეზერვების შესახებ, რომლებიც მთლიანად საყოფად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით ყველ ღონეს ხმარობენ ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ კურსის საწინააღმდეგოდ მტკიცედ და დაუცხრომლად იღვწის იმისათვის, რომ ბოლო მოუღოს უფუნურ გამალებულ შეიარაღებას, მოვლენების განვითარება მოაკციოს დაძაბულობის შეხელვის, სიზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის კალაპოტში.

ამ სესიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევა, თქვა ორატორმა, კიდევ უფრო ზრდის სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტს, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ავტორიტეტს და ახალ იმპულსს მისცემს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საქმისათვის ბრძოლას.

ჩვენი პარტიის საერთაშორისო კურსი გამოხატავს ყველა საბჭოთა ადამიანის ნებას. მისი განხორციელების საწინდარია ჩვენი ხალხის თავდადებული შრომა.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დავალებით ორატორმა წამოაყენა წინადადება მიიღონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

(დასასრული მე-3 გვ.)



„თბილისგპირაბმშენის“ № 5 გვირაბგამყვანთა რაზმის № 82 შახტის დახრილი გვირაბის მშენებლობის უბნის უფროსი, კომუნისტი ნუგზარ რევაზიშვილი მეტრომშენებელთა ერთ ჯგუფს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მასალებს.

ვ. ბენბიშვილის ფოტო.

შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დეპუტატ ჰ. ა. ალიევის მოხსენება

ეს საკანონმდებლო აქტი, თქვა ჰ. ა. ალიევმა, დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის დოკუმენტია. მასში ხორციშესხმულია ლენინური იდეები ახალი წყობილების საზოგადოებრივ პრაქტიკაში კოლექტივიზმის სულ უფრო ფართოდ დამკვიდრების შესახებ, ასახულია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს უცვლელი კურსი. მასში კონკრეტულად გამოყენებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებანი შრომითი კოლექტივის როლის, ამოცანებისა და უფლებების შესახებ, რომლებიც, როგორც გახსოვთ, მნიშვნელოვანწილად თვით მშრომელებმა ჩამოაყალიბეს მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს. მასში განზოგადებულია სსრ კავშირსა და მოძმე ქვეყნებში შეძენილი მოწინავე გამოცდილება. იგი დამაჯერებლად მოწმობს სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის გაუხრელ სრულყოფას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეს სესია განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ჩვენს ცხოვრებაში. „მან ერთხმად, დიდი აღფაფრთოვანებით აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი. უმაღლესი სახელმწიფო მიზანშეწონილობის მოსაზრებებით ნაკარნახევი ამ აქტით ხალხის სრულუფლებიანმა წარომადგენლებმა გამოხატეს ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელის აზრები, გრძნობები და ნება.

ნება მიბოძეთ, საქართველოს სს რესპუბლიკისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა დავალებით ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ და გულითადად მიეულოცო იური ვლადიმერის ძეს, ვუსურვო მას საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მაღალ პოსტზე დიდი წარმატებანი და აღვუთქვა ჩვენი ერთგულება ლენინური იდეებისა და ანდერძისადმი (**ტაში**).

შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის პროექტი, რომელსაც განვიხილავთ, მოგვიწია მნიშვნელოვან დოკუმენტად, რომელიც ავითარებს და აკონკრეტებს ქვეყნის ძირითადი კანონის — სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-8 მუხლს, რომელიც უმაღლესი საბჭოს მიერ მისი მიღების შემდეგ უნდა გახდეს ცხოვრების ძირიფდადი კანონი, შრომითი კოლექტივების თავისებური კონსტიტუციაა.

კანონის პროექტისადმი სწორედ ასეთი უაღრესად პატივცემითი დამოკიდებულება იგრძნობოდა საქართველოს სს რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში მისი განხილვისას, რომლის დროსაც გამოითქვა ბევრი საქმიანი წინადადება, სურვილი იმის შესახებ, თუ როგორ ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, ყოველმხრივ განვამტკიცოთ დისციპლინა და წესრიგი.

საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, ჩვენი აზრით, ყველაზე ღირსშესანიშნავი ის იყო, რომ ამ დოკუმენტის მიმართ არავინ არ დარჩენილა გულგრილი და, ვფიქრობთ, სწორედ ასეთი დამოკიდებულება შემდგომში ყველა მისი დებულების წარმატებით განხორციელების საუკეთესო გარანტია იქნება.

პროექტის განხილვის დროს გამოთქმულ ბევრ წინადადებას შორის, ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებს ისეთები, სადაც ნათქვამია, რომ შრომითს კოლექტივებს შეუძლიათ აირჩიონ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, ამხანაგური სასამართლოები და შრომითს კოლექტივებში მოქმედი სხვა საზოგადოებრივი ორგანოები და მოისმენონ მათი ანგარიშები, რომ ისინი ხელს შეუწყობენ საშეფო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებას, განიხილავენ და მსჯელობენ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი ზრუნვასთან.

წამოყენებულია წინადადება კომუნისტური აღზრდის დარგში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებებს დაემატოს საბჭოთა ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დანერგვისა და განვითარების ღონისძიებანი.

გავეცანი რა კანონის პროექტს უკვე გადამუშავებულ ტექსტს, კმაყოფილებით მიხდა აღვნიშნო, რომ ეს ჩვენი წინადადებანი პროექტის შესაბამის მუხლებში აისახა.

შრომითს კოლექტივებში კანონის პროექტის განხილვამ და იმ დაინტერესებულმა სხა-ბაასმა, რომელიც გამსჭვალულია გრძნობით, რომ მშრომელ ადამიანებს წილი მიუძღვით მათ გარშემო მიმდინარე ყველა საქმეში და მოვლენაში, მთელი სიცხადით გვიჩვენა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის იმ სიტყვების სისწორე რომ „სოციალისტურად აღზრდილი მხოლოდ იმ ადამიანს ეთქმის, რომელსაც ანაღლებს არა მარტო საკუთარი შრომითი წარმატებანი, კეთილდღეობა, ავტორიტეტი, არამედ აგრეთვე თანამშრომელი ამხანაგებისა და შრომითი კოლექტივის საქმეები, მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესები“.

გრძნობა ნამდვილი ბატონ-პატრონისა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის ყველა საქმისათვის, ღრმად დაინტერესებულია იმით, რომ ისინი წარმატებით სრულდებოდეს, მკაფიოდ გამოვლინდა პარტიის იმ კურსის საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერით, რომელიც გულისხმობს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას. შემთხვევითი როდია, რომ კანონის პროექტის დებულებებმა, რომლებიც ეხება შრომის „დისციპლინის განმტკიცებას, განსაკუთრებით აიღოლვა მუშათა კოლექტივები.

ცნობილია, რომ წარმოებაში ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში დიდი შესაძლებლობანი დაკავშირებულია შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადულ ფორმასთან. თბილისის, რუსთავის, რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა ქალაქების შრომითი კოლექტივების გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ერთი განრიგით მუშაობა უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევაში თითოეული ადამიანის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით ხელს უწყობს სტაბილურ საქმიანობას, ავითარებს ინიციატივასა და ნოვატორობას, მინიმუმამდე ამცირებს შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევებს, უძლიერებს თითოეულს დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

ამასთან, თვითკრიტიკის წესით და რა თქმა უნდა, სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ შრომის ორგანიზაციის ამ პროგრესულ ფორმას ჩვენში ჯერ კიდევ არ ეთმობა სათანადო ყურადღება. რესპუბლიკის მრეწველობის სფეროში ეს ფორმა მოიცავს მუშების დიდი-დიდი 40 პროცენტს, რაც გაცილებით ნაკლებია ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელთაც შეუძლიათ დიდი გაქანება მისცენ ჩვენს ეკონომიკაში არსებულ კოლოსალურ აღმშენებლობითს ძალებს, შრომითი კოლექტივების შესახებ კანონსა და მისმა განუხრელმა დაცვამ უდიდესი როლი უნდა შეასრულოს, ვინაიდან ეს ეხმარება მუშათა კოლექტივს გაზდეს თანამოაზრეთა კოლექტივი, არაგულგრილთა კოლექტივი, ხელს უწყობს უფრო ნაყოფიერი და ეფექტიანი შრომით, წარმოების რეზერვების გამოყენებით მუშაკთა დაინტერესებისა და ინიციატივის ზრდას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნია გაერთიანებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობის გაფართოება. მათი დამოუკიდებლობისადმი ნდობა და პატივისცემა უნერგავს შრომითს კოლექტივებს პასუხისმგებლობისადმი სწრაფვას.

მეურნეობათა დამოუკიდებლობა, მისი ფარგლების გაფართოება ამჟამად უკვე ჰაერში გამოკიდებული იდეა როდია, იგი აუცილებელ საჭიროების ნიშან-თვისებებს იძენს. ამასთან მხედველობაში გვაქვს დამოუკიდებლობა არა ობივატელური თვალსაზრისით, რასაც მინდა იმას ვშვრებიო, არამედ ის ეკონომიკური და ზნეობრივი კატეგორიები, რომლებიც მოიცავს, როგორც ფუძემდებელ ელემენტს, პასუხისმგებლობას, დაინტერესებას, მიზანშეწონილობას, ინიციატივას, გეგრილიანობას. და აქ უნდა დაძლიონ ფსიქოლოგიური ბარიერი იმათაც, ვინც ამ დამოუკიდებლობით სარგებლობს. პირველებმა უფრო მეტი ნდობა უნდა გამოიჩინონ, მეორეებმა გონივრულად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საქმისადმი ასეთმა შიდგომამ, ეთუოდ ხელი უნდა შეუწყოს მეურნეობათა განვითარებას, და არა შეაფერხოს მათი ზრდა, რაც, სამწუხაროდ, მთელ რიგ შემთხვევებში ახლა ხდება ხოლმე.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მტკიცე ორგანიზატორული და აღმზრდელობითი საქმიანობით ხელი შევუწყოთ შრომითს კოლექტივებს წარმატებით განახორციელონ მათ წინაშე დასახული ამოცანები, აღმოფხვრან ყველა ნაკლი, რომლებიც ხელს უშლის მაღალ საბოლოო შედეგების მიღწევას. ცოდვა გამხელილი სჯობს, და ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ დავაფასოთ და გავუფრთხილდეთ სამუშაო დროს, რომელიც ზშირად იხარჯება ისეთი საკითხების გამო გაჭიანურებულ თათბირებზე, რომლებიც უკვე დიდი ხანია ნათელია იმათთვისაც, ვინც სხდომებს მართავს და შემსრულებლებისათვისაც, მაგრამ თათბირები ვითომდა იმისათვის იმართება, რომ ასეა საჭირო, ასეა მიღებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა გაეხორციელდეს მტკიცე ღონისძიებანი, რათა მკვეთრად შემცირდეს ყოველგვარი სხდომების და თათბირების რაოდენობა, მათი ხანგრძლივობა უკეთესი მომზადების, გერგილიანობის მეშვეობით. ხოლო სხვადასხვა ღონისძიება მოეწყოს არა სამუშაო დროს, არამედ, როგორც წესი, შაბათობით. სხვათა შორის ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია გაიმართა შაბათს. და ეს იმიტომ კი არ გაკეთდა, რომ დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გაღიდების საკითხს განხილვა უნერხული იყო სხვა დღეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში შაბათი, როგორც სხვადასხვა მასობრივი ღონისძიების მოწყობის დღე, ძალიან კარგი გამოდგა. მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში მოხსენებების წინასწარი დაგზავნაც.

ამბობენ, ერთ ბრძენ კაცს შეკითხვაზე, როგორი კანონი ითვლება ყველაზე კარგ კანონადო, მიუგია: „ის, რომელიც მტკიცედ სრულდებაო“, მე ეს მომაგონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ მიერ მიღებულ საერთოდ კარგ კანონს შეუძლია სასურველი შედეგი მოგვცეს. თუ მის დებულებებს ყველა, ვინც უნდა განახორციელოს იგი, მკაცრად დაიცავს, თუ ყველა, ვისაც ეხება კანონი, ხატოვნად რომ ვთქვათ, „თქვენობთან“ იქნება მასთან.

ჩვენ ბევრი კარგი და მკაცრი კანონი გვაქვს, წარმოითქმება ბევრი სწორი სიტყვა, მაგრამ ზშირად არცთუ მთლად მტკიცედ მიმდინარეობს ბრძოლა პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, საბჭოთა კანონებისა და საზოგადოებრივი, უწინარეს ყოვლისა წარმოებითი ურთიერთობის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების განუხრელი შესრულებისათვის, დისციპლინისა და წესრიგისათვის, ყველა მოქალაქის მიერ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებლის დაცვისათვის. პრაქტიკა არაორაზროვნად მოწმობს, რომ ბზოლოდ ან ძირითადად ადამიანების, მორალური პასუხისმგებლობის იმედად ყოფნა ჯერ ადრეა, საჭიროა უფრო ხშირად, როცა ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები, გავიხსენოთ სამართლებრივი — დისციპლინური, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ჰ. ა. ალიევის მოხსენებაში შრომითი კოლექტივების შესახებ კანონს სამართლიანად ეწოდა უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი, შემდგომი ნაბიჯი წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის ლენინური პრინციპების განვითარების გზაზე.

ანიშვადა რა დიდ მნიშვნელობას სახელმწიფოს მართვაში მასების ფართო ფენების ჩაბმის საქმეს, ვ. ი. ლენინი გვაფრთხილებდა, რომ ეს უნდა ვასწავლოთ არა წიგნებით, არა ლექციებით, არა მიტინგებით, არამედ გამოცდილებით.

ჩვენს მიერ განხილული კანონის პროექტი სწორედ გამოცდილებით ასწავლის, იმიტომ, რომ იგი განასახიერებს და ყველასათვის სავალდებულო ნორმად აქცევს წარმოების მართვაში დემოკრატიული საწყისების განვითარების საქმეში მოწინავე კოლექტივების გამოცდილებას, წლების მანძილზე ჩამოყალიბებული სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას. ნება მიბოძეთ გამარჯვება ვუსურვო მის უდიდებულესობას, — შრომითს კოლექტივს, და საქართველოს სსრ მშრომელთა ერთსულოვან ნებაზე დაყრდნობით ხმა მივცე წარმოდგენილი კანონის პროექტის დამტკიცებას. (**ტაში**).

დეპუტატ ჰ. გ. გილაშვილის სიტყვა

(გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! გუშინ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სრული ერთსულოვნების ვითარებაში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურად აირჩია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. უმაღლესი სახელმწიფო მიზანშეწონილობის მოსაზრებებით ნაკარნახევი ამ აქტით ხალხის სრულუფლებიანმა წარომადგენლებმა გამოხატეს ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელის აზრები, გრძნობები და ნება.

ნება მიბოძეთ, საქართველოს სს რესპუბლიკისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა დავალებით ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ და გულითადად მიეულოცო იური ვლადიმერის ძეს, ვუსურვო მას საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მაღალ პოსტზე დიდი წარმატებანი და აღვუთქვა ჩვენი ერთგულება ლენინური იდეებისა და ანდერძისადმი.

შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის პროექტი, რომელსაც განვიხილავთ, მოგვიწია ნიმნშვნელოვან დოკუმენტად, რომელიც ავითარებს და აკონკრეტებს ქვეყნის ძირითადი კანონის — სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-8 მუხლს, რომელიც უმაღლესი საბჭოს მიერ მისი მიღების შემდეგ უნდა გახდეს ცხოვრების ძირიფდადი კანონი, შრომითი კოლექტივების თავისებური კონსტიტუციაა.

კანონის პროექტისადმი სწორედ ასეთი უაღრესად პატივცემითი დამოკიდებულება იგრძნობოდა საქართველოს სს რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში მისი განხილვისას, რომლის დროსაც გამოითქვა ბევრი საქმიანი წინადადება, სურვილი იმის შესახებ, თუ როგორ ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, ყოველმხრივ განვამტკიცოთ დისციპლინა და წესრიგი.

საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, ჩვენი აზრით, ყველაზე ღირსშესანიშნავი ის იყო, რომ ამ დოკუმენტის მიმართ არავინ არ დარჩენილა გულგრილი და, ვფიქრობთ, სწორედ ასეთი დამოკიდებულება შემდგომში ყველა მისი დებულების წარმატებით განხორციელების საუკეთესო გარანტია იქნება.

პროექტის განხილვის დროს გამოთქმულ ბევრ წინადადებას შორის, ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებს ისეთები, სადაც ნათქვამია, რომ შრომითს კოლექტივებს შეუძლიათ აირჩიონ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, ამხანაგური სასამართლოები და შრომითს კოლექტივებში მოქმედი სხვა საზოგადოებრივი ორგანოები და მოისმენონ მათი ანგარიშები, რომ ისინი ხელს შეუწყობენ საშეფო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებას, განიხილავენ და მსჯელობენ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი ზრუნვასთან.

წამოყენებულია წინადადება კომუნისტური აღზრდის დარგში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებებს დაემატოს საბჭოთა ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დანერგვისა და განვითარების ღონისძიებანი.

გავეცანი რა კანონის პროექტს, კმაყოფილებით მიხდა აღვნიშნო, რომ ეს ჩვენი წინადადებანი პროექტის შესაბამის მუხლებში აისახა.

შრომითს კოლექტივებში კანონის პროექტის განხილვამ და იმ დაინტერესებულმა სხა-ბაასმა, რომელიც გამსჭვალულია გრძნობით, რომ მშრომელ ადამიანებს წილი მიუძღვით მათ გარშემო მიმდინარე ყველა საქმესა და მოვლენაში, მთელი სიცხადით გვიჩვენა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის იმ სიტყვების სისწორე რომ „სოციალისტურად აღზრდილი მხოლოდ იმ ადამიანს ეთქმის, რომელსაც ანაღლებს არა მარტო საკუთარი შრომითი წარმატებანი, კეთილდღეობა, ავტორიტეტი, არამედ აგრეთვე თანამშრომელი ამხანაგებისა და შრომითი კოლექტივის საქმეები, მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესები“.

ბატონ-პატრონობა, ნამდვილი ბატონ-პატრონისა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის ყველა საქმისათვის, ღრმად დაინტერესებულია იმით, რომ ისინი წარმატებით სრულდებოდეს, მკაფიოდ გამოვლინდა პარტიის იმ კურსის საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერით, რომელიც გულისხმობს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას. შემთხვევითი როდია, რომ კანონის პროექტის დებულებებმა, რომლებიც ეხება შრომის „დისციპლინის განმტკიცებას, განსაკუთრებით აიღოლვა მუშათა კოლექტივები.

ამბანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა საგანგებოდ აღნიშნა პლენუმზე, რომ ეკონომიკური საწყისების შემდგომი განვითარების თემამ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში. და შრომითი კოლექტივების შესახებ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში პირველი კანონი, რომელსაც დღეს ვიხილავთ, ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კანონის პროექტის ამოსავალ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მის ძირითად შინაარსს. პარტიამ, აღნიშნა მან, საბჭოთა ქვეყანა გაიყვანა განვითარებული სოციალიზმის მიჯნებზე, როცა საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი სისტემის გარდაქმნა მთავრდება ახალი წყობილებისათვის შინაგანად დამახასიათებელ კოლექტივისტურ საწყისებზე. ამით უფართოესი ასპარეზი ისახება კოლექტივიზმის დიადი პრინციპის რეალიზაციისათვის. იგი ხდება ჩვენი ცხოვრების მთელი ყაიდის განმსაზღვრელი ნიშანი, ხოლო შრომითი კოლექტივი, როგორც ეს ჩაწერილია კანონის პროექტში, — სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედი.

ჩვენი პარტიის მიერ ჩამოყალიბებული ეს დებულებანი პოლიციპული ხასიათისა. განაზოგადებენ რა თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობის პრაქტიკას, ისინი ამდიდრებენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალიზმის შესახებ. ისინი ასახავენ წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრებისა და შრომის თავისუფალ და საყოველთაო შრომად გადაქცევის ორგანულ კავშირს. მისი ძირითადი ფორმაა კოლექტიური შრომა სოციალისტურ საწარმოებსა და ორგანიზაციებში. სწორედ ამ პირობებში შრომითი კოლექტივი იძენს ჩვენი საზოგადოების ძირითადი უჯრედის სტატუსს.

და ეს მართლაც ასეა. სწორედ შრომითს კოლექტივებში იქმნება მატერიალური და სულიერი ღირებულებანი, მტკიცდება სამშობლოს ეკონომიკური ძლიერება— საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველთა საფუძველი. სწორედ შრომითს კოლექტივებში ითარგმნება ყოველდღიური პრაქტიკის ენაზე ჩვენი გეგმები, ხორციელდება დასახული მიზნები. სწორედ შრომითს კოლექტივებში გადიან საბჭოთა ადამიანები ცხოვრების ნამდვილ სკოლას, ავლენენ თავს, როგორც კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

შრომითი კოლექტივი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, განასახიერებს სოციალიზმის უმნიშვნელოვანეს ნიშნებსა და უპირატესობებს. ჩვენი შრომითი კოლექტივები თავიანთი სოციალური ბუნებით ადამიანთა თავისუფალი გაერთიანებებია, რომლებშიც ერთად და სხვა კოლექტივებთან ურთიერთმოქმედებით შრომობენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ეს არის ადამიანთა ურთიერთობა ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საწყისებზე. ეს არის მათ მიერ იმის ღრმა გაგება, რომ მათი შრომა დაკავშირებულია კოლექტივის ყველა წევრის კეთილდღეობასთან, მთელი საზოგადოების კეთილდღეობასთან.

ყოველივე ეს ძირფესვიანად განასხვავებს სოციალისტურ შრომითს კოლექტივს მუშაკთა შეერთებისაგან კაპიტალისტურ საწარმოებში კაპიტალის ბატონობის პირობებში და კაპიტალის ინტერესებისათვის, კლასობრივი ანტაგონიზმის, პიროვნების ჩაგვრისა და დათრგუნვის, რასობრივი და ეროვნული უთანასწორობის ვითარებაში.

რაც უფრო იხვეწება, სიმწიფის სულ ახალ-ახალ ნიშნებს იძენს ჩვენი საზოგადოება, მით უფრო ვითარდება შრომითი კოლექტივებიც. იცვლება მათი სოციალური სახე, მდიდრდება ერთობლივი საქმიანობის შინაარსი, ვითარდება მისი მატერიალური საფუძველი, მაღლდება მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონე. არსებითად უახლოვდება ერთმანეთს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შრომის ხასიათი, ინტერესები და მოთხოვნილებანი. ჩვენი სოციალისტური შრომითი კოლექტივები სულ უფრო მეტად ხდება სოციალურად ერთგვაროვანი, ორგანულად ერთიანი.

ამის შედეგად მათი ზემოქმედება ქვეყნის როგორც საწარმოო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე არსებითად მატულობს. აქ ვითარდება საქმიანობის კოლექტიური ფორმები, მკვიდრდება ადამიანთა კოლექტივისტური შეგნება და ქცევა, საბჭოთა ცხოვრების წესის ის მაღალი ნორმები, რაც კოლექტივის თითოეული წევრი ზრუნავს არა მარტო პირადი წარმატებებისათვის, არამედ თავისი ამხანაგების, მთლიანად საზოგადოების საქმეებისათვის. მათ განეკუთვნებათ უდიდესი როლი სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი საბოლოო შედეგებისათვის, წარმოებისა და შრომის ახალი ორგანიზაციული ფორმების — აგროსამრეწველო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების ჩამოყალიბებაში, რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის თანამგობრობის განმტკიცებას. ყოველივე ეს განსახიერდა დღეს განსახილველ კანონში და იგი აქტიურ სტიმულს მისცემს ამას.

შრომითმა კოლექტივებმა ისე უნდა ააგონ თავიანთი მუშაობა, რომ მიაღწიონ სახელმწიფოს, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესების სწორ შერწყმას, ამასთან გაითვალისწინონ საერთო-სახელმწიფოებრივი, საყოველთაო-სახალხო ინტერესის პრიორიტეტი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე, როცა ჩვენი ეკონომიკა გადაიქცა ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსად, მნიშვნელოვნად გართულდა სხვადასხვა რეგიონების, დარგების, სფეროების კავშირიც და ურთიერთდამოკიდებულება.

ის გარემოება, რომ ყოველ შრომითს კოლექტივს ანდობენ საზოგადოებრივი საკუთრების გარკვეულ, ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვან ნაწილს, მას აკისრებს მაღალ პასუხისმგებლობას არსებული რესურსების რაციონალური, ეფექტიანი გამოყენებისათვის, საქმე ეხება მატერიალურ, ფინანსურ და შრომითს რესურსებს, თქვა მომხსენებელმა.

სოციალისტური შრომითი კოლექტივი, ხაზი გაუსვა მან, შეუცვლელი ასპარეზია პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ადამიანის შემოქმედებითი ძალების, მისი უნარისა და ნიჭის გამოვლენისათვის.

თავისუფალი შრომა, რომლის უფლება რეალურად არის გარანტირებული საზოგადოების მიერ, მაღალი მიზნით შთაგონებული შრომა უდიდესი სოციალური მონაპოვრია. და საბჭოთა ადამიანებს ამაყად კარგად ესმით მისი ისტორიული მნიშვნელობა. მაგრამ აქედან სულაც არ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, თითქოს მოთხოვნილება შრომაზე, მისდამი აღილი დამოკიდებულება ჩვენს პირობებში ავტომატურად, თავისთავად იქმნებოდეს. აქ ჯერ კიდევ უნდა ვიმუშაოთ და ვიმუშაოთ, მივაღწიოთ, რომ ყოველი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ხდებოდეს არა მარტო უფრო ნაყოფიერი, არამედ შინაარსიანიც, მიმზიდველიც, შემოქმედებითიც. პარტიისა და სახელმწიფოს მეცადინეობის მეოხებით ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტის გაკეთებაც შოგვიწევს. კანონი შრომითს კოლექტივებს მიზნად უსახავს გააქტიურონ საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომის პირობებისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების, ხელის, ნაკლებკვალიფიციურ და მძიმე ფიზიკურ სამუშაოთა შემცირებისათვის. იგი ხელს შეუწყობს იმას, რომ პიროვნება ყოველმხრივ ვითარდებოდეს სწორედ კოლექტივში, კოლექტიური შრომის მეშვეობით, შრომის პროცესში ადამიანთა ურთიერთმოქმედების მეშვეობით.

ჩვენს ქვეყანაში არის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა 2,5 მილიონზე მეტი შრომითი კოლექტივი. აქ თავიანთი ამხანაგების გვერდით დიდმნიშვნელოვან და საჭირო საქმეს აკეთებენ მეტალურგი და მხვნელმთესველი, მეშახტე და მეცნიერი, რკინიგზელი და ექიმი, მეცხოველე და მასწავლებელი, კულტურის მუშაკი და გამყიდველი. ისინი დასაქმებული არიან სხვადასხვა კოლექტივებში, მათ სხვადასხვა სპეციალობა და პროფესია აქვთ, მაგრამ მიზნები და ამოცანები —საერთო. და ისევე როგორც მათი შრომა კოლექტივში ერწყმის ქარხნისა თუ ინსტიტუტის, კოლმეურნეობისა თუ მშენებლობის მუშაობის ერთიან შედეგს, ისე ყველა კოლექტივის საქმიანობა ერთიანდება საერთო-სახალხო შრომის მძლავრ ნაკადად. და კარგია, რომ ეს ნაკადი სულ უფრო წყალუხვი ხდება!

კანონის პროექტი განსაზღვრავს საზელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან შრომითი კოლექტივების ურთიერთობას და მართვაში მათი მონაწილეობის პრინციპებს. იგი შეიცავს მთელ რიგ ახალ დებულებებს, რომლებიც აფართოებენ შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებას, განსაკუთრებით შრომის მართვის სფეროში.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო შრომითი კოლექტივების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და უფლებამოსილებებს. მან ხაზი გაუსვა, რომ საწარმოო კოლექტივების ამოცანაა მთლიანად გამოიყენონ ტექნიკის შესაძლებლობანი, კადრების კვალიფიკაცია, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, მასების ენერგიზიზმი, რათა დაჩქარდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი.

ჰ. ა. ალიევმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით შრომითს კოლექტივებს ყველა სფეროში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის, ყველა ამ რეაურსის რაციონალური ხარჯვისათვის ბრძოლაში, რომლებიც ჩვენ საზოგადოებას აქვს, სოციალური საკითხების გადაწყვეტაში.

კოლექტივებში შრომითს აღზრდასთან განუხრელი ერთიანობით შიდინარეობს იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. და რაც უფრო აქტიურად მონაწილეობენ კოლექტივები მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კლასობრივი თვითშეგნების ფორმირებაში, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეუურიგებლობის დამკვიდრებისა, მით უფრო წარმატებით წყდება ჩვენს საზოგადოებაში აღზრდის ამოცანები, თქვა დეპუტატმა.

მნიშვნელობით წარუვალია კოლექტივების ზემოქმედება საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაზე. ეს აღნიშნულია კანონში, ამასთან აღნიშნულია სავსებით დასაბუთებულად. დღეს ზომ, ალბათ, ყოველ შრომითს კოლექტივში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც ერთსულოვნად, ძმური— ამას სხვა სიტყვით ვერც გამოხატავ! — ერთიანობით წყვეტენ საერთო ამოცანებს. მრავალეროვანი შრომითი კოლექტივები ის გარემოა, სადაც ყველაზე უკეთ ყალიბდება ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება, ერთიანი ოჯახის გრძნობა. და შრომითი კოლექტივების დამსახურება სწორედ ის არის, რომ ინტერნაციონალისტური ფსიქოლოგია გახდა საბჭოთა ხასიათის განყოფელი ნიშანი, განასხვავებს ჩვენს ურთიერთობას მოძმე ქვეყნების ხალხებთანაც, მთელი მსოფლიოს მშრომელებთანაც. ასეთი ფსიქოლოგია რეალური სოციალიზმის უდიდესი მიღწევა, მსოფლიო მნიშვნელობის სულიერი კუთვნილებაა. ვეფრთხილდებოდეთ და ვამრავლებდეთ მას — ეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა.

კანონის პროექტის განხილვამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა ადამიანები ხედავენ კოლექტივების უდიდეს აღმზრდელობითს შესაძლებლობებს. მრავალრიცხოვანი სურვილების გათვალისწინებით კანონს პროექტში შეტანილია შესაბამისი დამატებანი.

სრული საფუძველი გვაქვს თქვაო: შრომითი კოლექტივი ერთ-ერთი მთავარი რგოლია ჩვენი აღზრდის სისტემაში. და ახლა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები და, რა თქმა უნდა, შრომითი კოლექტივები, შეაჯამ

საბჭოთა ადამიანის ინტერესებისათვის

(დასასრული)

დადგენილება განხილული საკითხის შესახებ.

სესიამ ერთსულოვნად მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“.

შემდეგ „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა **ბ. ა. ალიევმა.**

17 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს.

საბჭოთა ხალხი მშვიდობიასმში სწრაფვას მკაფიოდ გამოხატავს თავისი აღმშენებლობითი შრომით. ჩვენი ხალხი, რომელმაც იცის მშვიდობიანი ცხოვრების ფასი, უბრალოდ კი არ უფრთხილდება მას, არამედ დაუცხრომლად, დღითი დღე განამტკიცებს სამშობლოს — პროგრესისა და საერთაშორისო უშიშროების ბურჯის — ძლიერებას.

დეპუტატების გამოსვლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოცე სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ და სოციალურ აყვავებას ახალი იმპულსი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. მისი გადწყვეტილებანი პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალურ საკითხებზე, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული საპროგრამო დებულებები და დასკვნები განსაზღვრავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის პერსპექტივას. პლენუმმა მილიონობით კომუნისტსა და უპარტიოს მიზნად დაუსახა მუშაკაცის ინიციატივის შემდგომი განვითარება, მისი როლის აშაღლება წარმოების მართვაში, თითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვა. ამ გზაზე ახალ შესაძლებლობებს სახავს შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის პროექტი, რომელიც სესიაზე განიხილეს.

17 ივნისს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ი. ვ. ანდროპოვს, ბ. ა. ალიევს, ბ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, დ. ა. კუნაევს, ვ. ვ. რომანოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, ბ. ხ. ხოლმოვეცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ბ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაბანოვო

17 ივნისი

უკანასკნელი

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

მტკიცე, თანამიმდევრული კურსი

გამოსვლა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნა საერთაშორისო საზოგადოებრივობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. სხვადასხვა ქვეყნის თვალსაზრისი პოლიტიკური მოღვაწენი, პრესა აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის საერთაშორისო ამოცანების გადაწყვეტილებიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური მიდგომის ახალი მკაფიო გამოვლინება, პარტიისა და ხალხის მონოლითური შეკავშირებისა და ერთიანობის დადასტურება გახდა. ნათქვამია, რომ პლენუმის მასალებში, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც ფართოდ გაიშუქა მსოფლიო პრესამ, წამოყენებულია ყოველმხრივ შეუნერეულად დასახუთებული, უახლოესი დროისა და ხანგრძლივი პერსპექტივისათვის გათვალისწინებული კომუნისტური ამოცანები. ხაზგასმულია, რომ ჩვენს ეპოქაში სწორედ სოციალიზმია საერთაშორისო ურთიერთობაში ჯანსაღი საწყისების ყველაზე თანამიმდევრული დამცველი, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის ინტერესების, ყველა ხალხის ინტერესების დამცველი. აღნიშნავენ, რომ ქვეყანად მშვიდობის შენარჩუნება — დღესაც, და თვალსაწიერ მომავალშიც — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემაა.

მსოფლიოს საინფორმაციო საგენტოები, ხაზგარეთის რადიო და ტელევიზია იუწყებიან, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ერთხმად აირჩია ი. ვ. ანდროპოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. ხაზგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ი. ვ. ანდროპოვის საქმიანობასთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობის შემდგომი განმტკიცება, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსის მემკვიდრეობითობა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე და თანამიმდევრული ხაზი, რომლის მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, დაძაბულობის შენელებისაკენ მოვლენათა განვითარების კვლავ შემობრუნება, თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილება.

საბჭოთა კავშირის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს წარმოების ინტენსიფიკაციის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავების, საბჭოთა ცხოვრების წესის საფუძვლების განმტკიცების, მშვიდობის შენარჩუნების, თერმობირთვული ომის თავიდან აცილების კურსს, რომელსაც ადგას პარტია, წერს **ბულგარეთის „რაბოტნიჩესკო დელო“**, რომელიც განმარტავს პლენუმის შედეგებს. სსრ კავშირის მიზანი მარტოოდენ ომის თავიდან აცილება როდია, საბჭოთა კავშირი ესწრაფის საერთაშორისო ურთიერთობის ძირეულ გაჯანსაღებას, ამ ურთიერთობაში ყველა კეთილი საწყისის განმტკიცებასა და განვითარებას. იგი იღვწოდა და იღვწის იმისათვის, რომ პატივს სცემდნენ სახელმწიფოთა და ხალხთა სუვერენულ უფლებებს, ზუსტად ეცავდნენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რომელთა უგულებელყოფას, ფეხქვეშ გათელვას სულ უფრო ხშირად ცდილობს იმპერიალიზმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალიზმის ქვეყნები, მათი პოლიტიკა, ქვეყნად მტკიცედ მშვიდობის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია ქვეყნად მტკიცე შშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, აღნიშნავენ **„რედ პრაკა“ (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა).** ამ ქვეყნების თანამშრომლობისა და შეკავშირების განმტკიცება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის უპირველესი მიმართულებაა.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელმაც ყურადღება მიიპყრო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში, — წერს **პოლონეთის „ტრიბუნა ლუდუ“**. — ეს ინტერესი გამოიწვია უწინარეს ყოვლისა პარტიის იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალურმა საკითხებმა, რომლებიც განიხილეს პლენუმზე. ეს მუშაობა კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ამჟამინდელი ისტორიული პერიოდი აღინიშნა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მსოფლმხედველობის ორი პოლიტიკური კურსის — სოციალიზმისა და იმპერიალიზმის ინტენსიურობითა და სიმწვავით უმაგალითო წინააღმდეგობით. მიმდინარეობს ბრძოლა პლანეტაზე მილიარდობით ადამიანების გონებისა და გულისათვის. და კაცობრიობის მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რითი დამთავრდება ეს იდეოლოგიური ბრძოლა, აქედან გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთელი მსოფლიოს ხალხთა უფართოეს მასებს გასაგები და დამაჯერებელი ფორმით უთხრა სიმართლე სოციალისტური საზოგადოების, მისი უპირატესობების, მისი მშვიდობიანი პოლიტიკის შესახებ.

საფრანგეთის „ლუმანიტე“ წერს: „ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, **რომ** ბირთვული ომის საფრთხე, რომელიც მსოფლიოს შეეკვნა, გვავალებს ახლებურად შევაფასოთ მთელი კომუნისტური მოძრაობის საქმიანობის ძირითადი არსი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ კომუნისტები ყოველთვის იყვნენ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლნი, დღეს კი ისინი იბრძვიან კაცობრიობის ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის, ადამიანის სიცოცხლის უფლებისათვის“. ამჟამად კლასობრივი მტერი, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, ამკარად აცხადებს, რომ განზრახული აქვს მოსპოს სოციალისტური წყობილება. თავისი მიზნის მიღწევისათვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იმპერიალიზმს მიაჩნია „ფსიქოლოგიური ომი“. საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლა შეუნელებლად მიმდინარეობს. საბჭოთა კავშირი, როგორც აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, კვლავაც აწარმოებს მას აქტიურად, ღირსეულად, არ წამოეგება პროვოკაციებს.

მტკიცეს და დამაჯერებელს უწოდებს ი. ვ. ანდროპოვის სიტყვას **ინგლისის „გარდიანი“**. „როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, საბჭედრო-სტრატეგიული წონასწორობა სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის, რომელიც ობიექტურად უწყობს ხელს მშვიდობიან თანაარსებობას, ბოლო ათწლეულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი გახდა, — აღნიშნავს გაზეთი, — ამან საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ხალხების დიდი ენერგია და სახსრები მოითხოვა და მოსკოვი მისი დანგრევის უფლებას არავის მისცემს“. მეორე **ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“** განმარტავს რა პლენუმის შედეგებს, წერს: „სსრ კავშირმა კვლავ განაცხადა, რომ მშვიდობის გზას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების აღორძინებით შეიძლება დავადგეთ“.

ი. ვ. ანდროპოვის სიტყვის შინაარსი გამოაქვეყნა **დასავლეთ გერმანიის** ყველა წამყვანმა გაზეთმა. „მოსკოვი აცხადებს, რომ მზად არის განიარაღების დარგში შეთანხმებისათვის“, — აღნიშნავს სათაურში **„ფენერალ-ანცეიგერი“**. „საბჭოთა კავშირი იღვწის სამხედრო წონასწორობის პირობებში მშვიდობიანი თანაარსებობისათვის“, — აცხადებს **„ფრანკფურტერ ალგემაინე“**, ამასთან აღნიშნავს საბჭოთა საგარეო-პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობითობას.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მთავარი პრობლემაა კვლავ ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების საკითხი. **„კელნერ შტადტ ანცეიგერი“** გამოყოფს ი. ვ. ანდროპოვის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ მშვიდობიან თანაარსებობას ობიექტურად უწყობს ხელს სოციალიზმისა და იმპერიალიზმის სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობა.

როგორც აღნიშნავს **„ვაშინგტონ პოსტი“**, საბჭოთა ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ მოსკოვი ერთგულია დასავლეთის ქვეყნებთან დაძაბულობის შენელების პოლიტიკისა. მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვი არ დაუშვებს დაარღვიოს სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობა და ყოველ ღონეს იხმარს საკუთარი სამხედრო ძლიერების შენარჩუნებისათვის.

● იტალია

გადამწყვეტი სტადია

რომი. გადამწყვეტი სტადია დაუდგა იტალიაში საარჩევნო კამპანიას 26 ივნისს დანიშნული პარლამენტის ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ უკვე წარმოადგინა საარჩევნო პროგრამები და განსაზღვრა თავისი პოზიციები მომავალი მთავრობის შესაძლო შემადგენლობის საკითხში. როგორც ცნობილია, ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობს ქვეყნის სამ პოლიტიკურ ძალას შორის. ესენი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია — ქვეყნის უდიდესი ბურჟუაზიული პარტია, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას მთელ ომის შემდგომ პერიოდში, კომუნისტური პარტია — ძირითადი ოპოზიციური ძალა და სოციალისტური პარტია. ამასთან არც ერთ პარტიას არა აქვს ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მიღების შანსი, ამიტომ მთავრობის შექმნა შეუძლებელი იქნება უკოალიციოდ და პარტიებს შორის კავშირის დაუდებლად.

თავისი არჩევნებისწინა პლატფორმა, როგორც იქნა, გამოაცხადა იტალიის სოციალისტურმა პარტიამაც, რომელსაც აქამდე გაურკვეველი პოზიცია ეკავა. პრესკონფერენციაზე გამოსვლისას, სოციალისტური პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ბ. კრაქსიმ ქრისტიან-დემოკრატებს შესთავაზა არჩევნების შემდეგ დადონ შეთანხმება სამწლიანი სამთავრობო ბლოკის შექმნის შესახებ, რომელსაც შეიძლება შეუერთდნენ წვრილი ბურჟუაზიული პარტიები. ამრიგად, სოციალისტებმა უარი თქვეს კომპარტიის მიერ წამოყენებულ წინადადებაზე „დემოკრატიული ალტერნატივის“ შესახებ, ესე იგი მთელ მემარცხენე, პროგრესული ძალების კოალიციაზე. ამავე დროს კრაქსმ არცთუ ორაზროვნად განაცხადა, რომ ქრისტიან დემოკრატებთან ალიანსს დათანხმდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოციალისტებს მთავრობის მეთაურის პოსტს მისცემენ.

ფოტოფაქტი

● აშშ

საპროტესტო გამოსვლა

ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრეებმა კალიფორნიის ბევრ რაიონში მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია ვაშინგტონის კონფრონტაციისა და მილიტარიზმის კურსის გამო.

კერძოდ, ზღვიდან და ხმელეთიდან გადაკეტეს კონკორდის სამხედრო-საზღვაო ბაზა, საიდანაც იარაღს აწვდიან სალვადორის რეპრესიულ რეჟიმს. დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ბოლო მოეღოს ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის პოლიტიკას, რომელსაც რეიგანის ადმინისტრაცია ადგას, შეწყდეს გამოუცხადებელი ომი რევოლუციური ნიკარაგუის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სულ უფრო აფართოებს.

სურათზე: კალიფორნიელ მშვიდობის მომხრეთა საპროტესტო გამოსვლა.

აპ-საკლესიო ფოტო.

● ლიბანი

საგანგებო სესია

დამასკო. მუშაობა დაამთავრა ლიბანის დეპუტატთა პალატის (პარლამენტის) საგანგებო სესიამ, რომელიც მოიწვიეს ლიბანელიხრაელის შეთანხმების რატიფიკაციის საკითხის განსახილველად. ლიბანის პარლამენტმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ნებას რთავს ქვეყნის პრეზიდენტს დაამტკიცოს ეს შეთანხმება.

პარლამენტის სესიის შედეგებს რომ განმარტავენ, პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ იგი მოიწვიეს ლიბანში ფაქტობრივად მოქმედი საგანგებო წესების ვითარებაში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ლიბანის ტერიტორიაზე ისრაელისა და ამერიკის ჯარები იმყოფებიან, რაც რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოზე უხეში ზემოქმედების ფაქტორია, პარლამენტმა კამათის მსვლელობა მოწმობს ლიბანის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში ფართო და მტკიცე ოპოზიციის არსებობას.

სესიას პარლამენტის 91 დეპუტატიდან მხოლოდ 72 ესწრებოდა. მას ბოიკოტი გამოუცხადა ლიბანის ბევრმა თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, მათ შორის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ გ. აბუ ფადელმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრებმა რ. კარამემ და ა. ალჰაფეზმა.

შეთანხმების წინააღმდეგ ხმა მისცეს ქვეყანაში ცნობილმა დეპუტატებმა ზ. ალ-ხატიბმა და ნ. ვაქმმა. პარლამენტის თავმჯდომარე კ. ალ-ასაადი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა.

● გფრ

მშვიდობის კვირეული

ბონი. აქ დაიწყო „ბონის მშვიდობის კვირეული“, რომლის მოწყობაში მონაწილეობს მშვიდობის მომხრეთა დაახლოებით 60 გაერთიანება. მათი მიზანია ხელი შეუშალონ გარანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებას. „მშვიდობის კვირეულს“ ორგანიზატორთა მოწოდებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ბონი გამოცხადდეს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად, და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვონ განახორციელოს ომის საწინააღმდეგო და ანტიბირთვული პოლიტიკა.

პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობა

ვარშავა. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაური იოანპავლე მეორე ჩავიდა ვარშავაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და პოლონეთის საეპისკოპოსოს მიწვევით.

როგორც პოლონეთის ყსაინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიზიტს რელიგიური ხასიათი აქვს.

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტებისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი 1984 წლის ლენინური პრემიების მოპოვებისათვის ნაშუშევრებს იღებენ 1983 წლის 16 ოქტომბრამდე. განსახილველად მიიღება სამეცნიერო შრომები, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნდა (შესრულდა, აიგო) არა უგვიანეს 1982 წლის 16 ოქტომბრისა, ტექნიკის დარგის ნაშუშევრები სახალხო მეურნეობაში უნდა იყოს დანერგილი.

1984 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოპოვებისათვის ნამუშევართა მიღება წარმოებს 1983 წლის 15 დეკემბრამდე, სამეცნიერო შრომები გამოქვეყნებული უნდა იყოს არა უგვიანეს 1982 წლის 15 დეკემბრისა. ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის ნაწარმოებები — არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ივნისისა. ნამუშევრები ტექნიკის დარგში დანერგილი უნდა იყოს სახალხო მეურნეობაში.

ერთი და იგივე ნამუშევრის ან ერთი და იმავე კანდიდატურის ერთდროულად ლენინურ და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიებზე წარდგენა არ შეიძლება.

ნამუშევრების წარმოდგენასთან და გაფორმებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მიმართეთ: მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მისამართით —125047, მოსკოვი, ა—47, მე-3 ტverსკაია-იამსკაიას ქ., 46, ტელეფონები 250-38-08, 250-19-47; ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მისამართით— 101414, მოსკოვი, ქალაქის სასამსახურო ფოსტა-4, ნეგლინაიას ქ., 15. ტელეფონები 223-44-67, 223-62-47.

ყაბალი

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

ყალაზურთელთა სასპარტაკიადო ფინალურ ოქტეტში შეჯიბრების მეხუთე ტურის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და უკრაინის ნაკრები კოლექტივები. ამ შეხვედრაში ქართველმა სპორტსმენებმა თავიდანვე იგდეს ხელთ ინიციატივა და დაწინაურდნენ კიდეც. ისინი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ან ორი ბურთის სხვაობით იყვნენ წინ (2:0, 2:1, 3:1 3:2, 4:2, 4:3, 5:4, 6:5: 7:5, 7:6). უკრაინელებმა ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 5:5 და 7:7, რომელიც მეორე მატჩის ფრად დამთავრების მაუწყებელი აღმოჩნდა.

სატურნირო ცხრილში შექმნილი მდგომარეობაც ამას უკარნახებდა მათ, მაგრამ გამოჯანსაღებული ბოლოს ბოლო ადგილისათვის ბრძოლაში დაეკარგეთ ძვირფასი ქულა. ასეა თუ ისე, მატჩის ბოლო 50 წამში ჩვენმა წყალბურთელებმა დაკარგეს ის დამაბიმდებელი უპირატესობა, რომელიც თითქმის მთელი მატჩის მანძილზე ჰქონდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნაკრების კარში, როცა შეხვედრის დამთავრებას 50 წამი აკლდა, ორი ბურთი გავიდა. საერთოდ კი ბოლო ბურთი უკრაინელებმა გაიტანეს მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას 13 წამი აკლდა. აი, ასე დრამატულად დამთავრდა ეს შეხვედრა. ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ თანამედროვე წყალბურთში საკმარისი არ არის კარგად ცურავდე, ბურთს კარგად ფლობდე, ძლიერი აღსაგობა გქონდეს... როგორც ამას წინათ თბილისში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმზე გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე უნგრელმა მწვრთნელმა და წარსულში ცნობილმა წყალბურთელმა დიო�დ დიარმატმა აღნიშნა, ეს თვისებები ბევრს აქვს. მთავარია სწრაფად იაზროვნო და გამუდმებით ბოლომდე ასწრებდე მეტოქის მოქმედებას. უკრაინელებთან მატჩის ბოლოს სწორედ აზროვნების ეს სისწრაფე აკლდათ ჩვენს წყალბურთელებს.

მაშ ასე, საბოლოოდ ფრე 7:7 (2:1, 3:2, 0:1, 2:3). ქართველ წყალბურთელთაგან ამ მატჩში კუტივაძემ ორი ბურთი გაიტანა, ქოიავამ, დოლიძემ, ქათამაშვილმა, რურუამ და გვახარიამ თითო ბურთი. ბოლო ორი ტურის წინ წყალბურთელთა ფინალურ ოქტეტში გუნდები ასე იყვნენ განლაგებული: მოსკოვი — 10 ქულა, ყაზახეთი—8, უკრაინა — 7, უზბეკეთი — 6, საქართველო — 5, აზერბაიჯანი და ლენინგრადი 2-2, მოლდავეთი — 0 ქულა.

დამთავრდა მოფაიკაკეთა გუნდური და პირადი შეჯიბრება რაპირისტ ვაჟთა შორის. ყირგიზეთის კოლექტივთან შეხვედრაში მეტად მძიმე ბრძოლა გადახდა ფინალურ ოქტეტში გასვლისათვის საქართველოს ნაკრებს. ეს მატჩი დამთავრდა ფრედ 8:8 და თუ ვის მიენიჭებოდა უპირატესობა, უნდა გაერკვია ამ ორ გუნდს შორის მოფაიკაკეების მიერ მიყენებულ ჩხვლეტების რაოდენობას. ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება და უფრო იშვიათად, როცა გუნდებს ჩხვლეტების რაოდენობაც ერთნაირი აქვთ. სწორედ ასე მოხდა და გამარჯვებული ვინაობა უნდა გაერკვია გუნდების კაპიტნების დამატებით ორთაბრძოლას.

ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სსრ კავშირის ნაკრებში თანაგუნდელები და გუნდურ შეჯიბრებაში მსოფლიოს ჩემპიონები ყირგიზეთის გუნდის კაპიტანი ი. ლიკოვი და ქართველ რაპირისტთა კაპიტანი ვლ. აფციაური. ამ უკანასკნელმა წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწყრა მეტოქეს, დამარცხა იგი მშრალი ანგარიშით 5:0 და ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა. ამის შემდეგ საქართველოს რაპირისტები დამარცხდნენ მოსკოვისა და აზერბაიჯანის ნაკრებ კოლექტივებთან (ორივეჯერ ანგარიშით 3:9) და მეშვიდე-მერვე ადგილისათვის გამართულ მატჩში შეხვდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს. ამჯერად საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა და საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე გამოვიდა. რაპირისტ ვაჟთა შორის გუნდური პირველობა მოიპოვა მოსკოვის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა უზბეკეთის გუნდი. პირად ასპარეზობაში კი უძლიერესის სახელი მოიპოვა ბელორუსიის წარმომადგენელმა ა. რომანკოვმა. მეორე ადგილი დაიკავა ს. რუზიევმა (უზბეკეთი), ხოლო მესამე ი. ლიკოვმა (ყირგიზეთი), სწორედ იმან, რომელიც კაპიტანთა ორთაბრძოლაში ვ. აფციაურმა დამარცხა.

საქართველოს ფრენბურთელებმა, რომელებიც მეცამეტე-მეჩვიდმეტე ადგილებისთვის მებრძოლ ჯგუფში თამაშობენ, მორიგი მატჩები ასე დაამთავრეს: **ჯაჟები.** საქართველო-ტაჯიკეთი — 3:0, **ჭალები.** საქართველო-ს ო მ ხ ეთი — 3:0. ამ ჯგუფებში გუნდების სატურნირო მდგომარეობა მორიგი შეხვედრების წინ ასეთი იყო: **ჯაჟები.** ყირგიზეთი — 2 ქულა (ორი მატჩიდან), სომხეთი — 2 (სამი მატჩიდან), საქართველო—1 (ერთი მატჩიდან), ტაჯიკეთი და თურქმენეთი — 0 (ორ-ორი შეხვედრიდან); **ჭალები.** აქ ყველას თითო ქულა ჰქონდა. ყირგიზეთს ერთი შეხვედრიდან, საქართველოს, თურქმენეთსა და სომხეთს ორ-ორიდან, ტაჯიკეთს კი — სამი მატჩიდან.

საქართველოს კალათბურთელმა ვაჟებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიანთ ქვეჯგუფში ზაგეს შეხვედრა უკრაინელებთან — 61: 116. ამავე ჯგუფში „უზბეკებმა დაამარცხეს აზერბაიჯანელები — 109:50. ქვეჯგუფში ბოლო ტურის წინ უკრაინელებს 4 ქულა ჰქონდათ, საქართველოს და უზბეკეთის კოლექტივებს — სამ-სამი, აზერბაიჯანელებს — ორი ქულა.

ჯ. ენუქიძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ. მოსკოვი.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გთავაზობთ უმაღლესი ლიგის გუნდების სატურნირო მდგომარეობას თოთხმეტი ტურის შემდეგ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	13	9	1	3	21-13	19
„დინ.“ (მნ)	13	7	3	3	17-10	17
„ცალგირისი“	13	6	5	2	13-9	17
„სპარტაკი“	13	6	4	3	22-10	16
„ზენიტი“	13	6	4	3	15-11	16
„არარატი“	14	7	1	6	17-19	15
„დინ.“ (კ)	12	6	3	3	11-9	15
„ფახთაქორი“	13	5	5	3	15-10	15
„ტორპ“ (მ)	13	5	4	4	12-12	14
„შახტიორი“	13	6	1	6	13-13	13
„დნეპრი“	13	5	3	5	18-16	13
„მეტალისტი“	12	5	2	5	14-13	12
„ცსკა	13	4	3	6	9-12	11
„ნეფტჩი“	13	4	3	6	13-18	11
„დინ.“ (მ)	13	3	5	5	10-10	11
„დინ.“ (თბ)	13	2	3	8	10-18	7
„ტორპ.“ (ქ)	14	1	5	8	8-18	7
„ნისტრუ“	13	2	1	10	6-23	5

გამოვლინდნენ მექსიკაში მიმდინარე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები. ხვალ, 19 ივნისს პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებები. ბრაზილიელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს სამხრეთ კორეელები 2:1, არგენტინელებმა — პოლონელები — 1:0. დღეს სამხრეთ კორეისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა გამოაელენს ბრინჯაოს მფლობელს.

ძიუდო. მაიაგუესში (პუერტო-რიკო) გაიმართა იუნიორთა (17-19 წელი) მესამე მსოფლიო ჩემპიონატი. ქვეყნებს შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თბილისელმა ალექსი ხაჩიძემ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

მიხეილ ჩაჩავა



გარდაიცვალა ცნობილი საბჭოთა ქირურგი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, დიდი ერუდიციის მკვლევარი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ** კონსტანტინეს ძე **ჩაჩავა.**

მ. ჩაჩავა დაიბადა 1902 წელს ლანჩხუთში, რეგოლუციონერი გლეხის ოჯახში. 1928 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1936 წელს აკადემიკოს გრ. მუხაძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1937 წელს სადოქტორო დისერტაციები.

1944 წელს მ. ჩაჩავა სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორად აირჩიეს. 1950-1968 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის და პედიატრიისა და სანიტარიის ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგეა. 1968-1974 წლებში ხელმძღვანელობს სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრას, ხოლო 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე ამავე კათედრის მეცნიერი კონსულტანტი იყო.

მ. ჩაჩავა გახლდათ დიდი დიალექტიკოსი, შემოქმედი დასტაქარი, რომელმაც თავისი მრავალმხრივი ქირურგიული მოღვაწეობით ფასდაუდებელი ამაგი დასდო საქართველოში ქირურგიის განვითარებას.

მას უდიდესი წვლილი მიუძღვის წყლულოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობის საქმეში. იყო ინიციატორი საყლაპავი მილის, გულმკერდის ღრუს ორგანოების დაავადებათა, ძვალ-სახსართა ტუბერკულოზის, პროქტოლოგიურ დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვისა ჩვენს რესპუბლიკაში. შესრულებული აქვს 20 ათასზე მეტი ოპერაცია გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოებზე. მან საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ოპერაციები გულის მანკის გამო (1963 წელი).

მ. ჩაჩავამ თავისი დაუშრეტელი ენერგიით და დაუღალავი შრომით, გრ. მუხაძის. სხვა მოწაფეებთან ერთად, სახელი გაუთქვა ქართულ საბჭოთა ქირურგიას და გაიტანა იგი საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. 1959 წელს მიუნხენში იგი მოხსენებით წარდგა მსოფლიოს ქირურგთა XIX ყრილობაზე. 1960 წელს 4 თვეს იმყოფებოდა ინგლისში და მუშაობდა გულმკერდის ქირურგიაში. იყო მსოფლიოს ქირურგთა რამდენიმე საერთაშორისო კონგრესის დელეგატი. 1964 წელს მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

1964-1974 წლებში დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის თანარედაქტორი და საკავშირო ქირურგთა საზოგადოების გამგეობის წევრია, ხოლო სიცოცლის უკანასკნელ დღემდე — თბილისის აკადემიკოს გრ. მუხაძის სახელობის ქირურგთა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე.

იგი ავტორია 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, რომლებიც ეძღვნება საყლაპავი მილის, შუასაყარის, გულის, კუჭის, ღვიძლის, ელენთის, მსხვილი და სწორი ნაწლავის დაავადებათა და ძვალსახსართა ტუბერკულოზის ქირურგიას.

პროფესორმა მ. ჩაჩავამ ქართულ სამედიცინო საზოგადოებრიობას და ქართველ სტუდენტებს მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვა — მან შეიქმნა 8 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო ერთო და ზოგად ქირურგიაში ქართულ და რუსულ ენებზე.

მ. ჩაჩავა 55 წლის განმავლობაში ეწესახურებოდა ქართულ ქირურგიას როგორც ბრწყინვალე პედაგოგი, დიდი მეცნიერი, არაჩვეულებრივი შემართების უნადო დასტაქარი.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მ. ჩაჩავა პირნათლად იხდის ვალს სამშობლოს წინაშე. იგი მთელი რიგი ჰოსპიტლების წამყვანი ქირურგი იყო და მისთვის ჩვეული თავდადებით ასრულებს ურთულეს ოპერაციებს, მებრძოლთა გადასარჩენად.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს პროფესორ მ. ჩაჩავას ღვაწლი. ია. ნ. ლენინის ორ ბრძოლ ბრძოლ ... ...